მიატოვე ის, რაც ეჭვს გიჩენს, და მიაპყარი ყურადღება იმას, რაც ეჭვს არ იწვევს, რადგან სიმართლეს სიმშვიდე მოაქვს, ხოლო სიცრუე — ეჭვებს აჩენს

აბუ ალ-ჰავრაა' ას-სა'დისგან გადმოცემულია: მე ვკითხე ჰასან იბნ ალის (ალლაჰის იყოს მათით კმაყოფილი): "რა დაიმახსოვრე ალლაჰის მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას?" მან მიპასუხა: "მე დავიმახსოვრე ალლაჰის მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «მიატოვე ის, რაც ეჭვს გიჩენს, და მიაპყარი ყურადღება იმას, რაც ეჭვს არ იწვევს, რადგან სიმართლეს სიმშვიდე მოაქვს, ხოლო სიცრუე — ეჭვებს აჩენს».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه الترمذي والنسائي وأحمد]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა, რომ უნდა დატოვო ის, რაც ეჭვს გიჩენს, იქნება ეს სიტყვები თუ ქმედებები, რომელთა შესახებაც არ არის ცნობილი, აკრძალულია თუ ნებადართული. ამის ნაცვლად, უნდა მიმართო იმას, რაც ეჭვს არ იწვევს, რაც დარწმუნებით არის ცნობილი როგორც კარგი და ნებადართული, რადგან გული ასეთ რაღაცეებში სიწყნარეს და სიმშვიდეს პოულობს. ხოლო ის, რაც ეჭვს იწვევს, გულში წუხილს და შფოთვას იწვევს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4564